საქართველოს მთავრობის

დადგენილება №172

2025 წლის 23 მაისი

ქ. თბილისი

„საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/05/2023, 010240030.10.003.024010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის“:

1. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საჯარო დაწესებულება სტაჟიორის შესარჩევ კონკურსს აცხადებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის (შემდგომში – ადმინისტრაცია) მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.“.

2. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტაჟიორის კონკურსში მონაწილეობისათვის, სტაჟირების მსურველი პირი განაცხადს წარადგენს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.“.

3. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სტაჟიორის კონკურსის შედეგები აისახება ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის შესაბამის მოდულში, მისი დასრულებიდან (შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთი კვირის განმავლობაში.“.

4. მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საჯარო დაწესებულება ვალდებულია კონკურსის შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება შეატყობინოს სტაჟირების მსურველ პირებსა და ადმინისტრაციას.“.

5. მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) გაეცნოს სტაჟიორის კონკურსის შესაბამის შეტყობინებაში მითითებულ ინფორმაციას/მოთხოვნებს და, კონკურსში მონაწილეობის მიზნით, წარადგინოს ელექტრონული განაცხადი ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე;“.

6. მე-19 მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) გამოაცხადოს სტაჟიორის კონკურსი ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე;“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ასახოს სტაჟიორის კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია ადმინისტრაციის მიერ

ადმინისტრირებულ ვებგვერდზე;“;

გ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) გაეცნოს რეკომენდაციებს სტაჟირების პროცესის განვითარებასთან, გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და ითანამშრომლოს ადმინისტრაციასთან საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების ერთიანი პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით;“.

7. მე-5 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**თავი V. ადმინისტრაციის უფლებები და მოვალეობები**“.

8. 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 21. ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობები**

ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობებია:

ა) უზრუნველყოს ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის შესაბამის მოდულში საჯარო დაწესებულების მიერ სტაჟირების კონკურსის ჩატარების შესახებ ასახული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი;

ბ) გააანალიზოს საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების მიმდინარეობის პროცესი და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები, ერთიანი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით;

გ) გაუწიოს მეთოდური დახმარება საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულებს, სტაჟიორების მენტორინგის პროცესის გაძლიერებისა და სტაჟირების პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები.“.

9. 27-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აპარატი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სტაჟიორთა კვოტის შესაბამისად, აქვეყნებს სტაჟიორის კონკურსს, ყოველი წლის შემოდგომის ან/და გაზაფხულის პერიოდში, ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge).“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საჯარო დაწესებულებაში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სტაჟიორად პირი მიიღება ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) განთავსებულ სტაჟიორის კონკურსზე განაცხადის რეგისტრაციისა და სტაჟირების უწყებათაშორის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების მეშვეობით.“;

გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საკონკურსო კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებს ადმინისტრაციასა და შესაბამის საჯარო დაწესებულებებს.“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.